PRESS RELEASE
Scroll down for English

სივრცე, რომელიც ყველასია

გამოფენა და ვორქშოფების სერია

@Artisterium 19 / 2026

19-30 სექტემბერი, 2026
კუბი კონტექსტში
თანამედროვე ხელოვნების სივრცე
მზიურის პარკი

ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო ფორუმი - „არტისტერიუმი“, თბილისის თანამედროვე ხელოვნების ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალია, რომელიც მოიცავს თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენებს, საგანმანათლებლო და კულტურულ პროგრამებს.

პროექტის შესახებ

სივრცე, რომელიც ყველასია, თანამედროვე ხელოვნების და საზოგადოებრივი დიალოგის ინიციატივაა, რომელიც იკვლევს, თუ როგორ უმკლავდება ადამიანი ინდივიდუალურ და კოლექტიურ კრიზისებს, არაპროგნოზირებადი ცვლილებების ეპოქაში. პროექტი იკვლევს თანაარსებობის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ფორმებს სამყაროში, სადაც მზა პასუხები არ არსებობს.

პროექტში მონაწილე შვიდი მხატვრიდან, ყველა დიპლომირებული, ანუ აკადემიური სახელოვნებო განათლების მქონე ხელოვანი არ არის. მათი მონაწილეობა კონცეფციის მნიშვნელოვანი ნაწილია და იმ შეხედულებას ეფუძნება, რომ შემოქმედებითი თვითგამოხატვის, ურთიერთგაზიარების და საზოგადოებრივ დიალოგში ჩაბმის საშუალება პროფესიული სტატუსით არ განისაზღვრება. სივრცე, რომელიც ყველასია საერთო სივრცის შექმნის აუცილებელ პირობად სწორედ სხვადასხვა გამოცდილების, შეხედულების, ცოდნის და პერსპექტივის თანაარსებობას განიხილავს.

თანაარსებობა პროექტის ფარგლებში არის შემოქმედებითი, ემოციური და სოციალური უნარი, შევინარჩუნოთ ურთიერთობები, ურთიერთგაგება და თვითგამოხატვის შესაძლებლობა, განსხვავებული გამოცდილებების და მიმართებებით სავსე გარემოში. ამ პროცესში სივრცე, რომელიც ყველასია შეხვედრების, ურთიერთგაცვლის, ახალი კავშირების და შესაძლებლობების ჩამოყალიბების ადგილია.

გამოფენას თან ახლავს 3 ვორქშოფი, რომელთა თემებია: *საერთო ისტორია*, *კოლექტიური „ზინის“ (ხელნაკეთი წიგნის) შექმნა* და *ფარავანა.*

გამოფენაში მონაწილე მხატვრები

გოჩა ჟღენტი, ნინო მაღლაკელიძე, სოფო შარაშიძე, სვიმონ ბოლქვაძე, მარიამ ელიავა, ირა სილანტიევა, კოკა ვაშაკიძე.

ვორქშოფები

საერთო ისტორია

როგორ შეიძლება გავიაზროთ ქალაქი არა მხოლოდ ადამიანების კუთვნილ სივრცედ, არამედ საერთო გარემოდ, რომელსაც მცენარეები, ცხოველები, მწერები, ფრინველები და სიცოცხლის სხვა ფორმებიც იზიარებენ? - წამყვანი ანა კორძაია-სამადაშვილი

კოლექტიური ზინის შექმნა

როგორ შეუძლიათ განსხვავებულ ადამიანებს საკუთარი გამოცდილებისა და პერსპექტივების გაზიარებით, იმუშაონ ერთად და შექმნან საერთო პროდუქცია? - წამყვანი სოფია ლაპიაშვილი

ფარავანა

ვორკშოფი იკვლევს, თუ როგორ მოქმედებს ხელოვნური განათება და სინათლით დაბინძურება ქალაქის ბინადრებზე. ღამით ჭარბი განათება არღვევს ფრინველების, მწერებისა და სხვა სახეობების ძილს, ორიენტაციას, მიგრაციასა და ბუნებრივ რიტმებს, რაც ქალაქს მათთვის თანდათან უფრო მტრულ გარემოდ აქცევს - წამყვანი მამუკა ჯაფარიძე

პროექტის კურატორი: ანუკა ლომიძე
პროექტის ორგანიზატორი: არტისტერიუმი 19 / 2026 | მაგდა გურული

არტისტერიუმის 19 / 2026 -ის მხარდამჭერია თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური და საქართველოს კულტურის სამინისტრო, შემოქმედებითი საქართველო.

პროქტის დეტალური პროგრამა გამოცხადდება მოგვიანებით.

ორგანიზატორი:
ა(ა)იპ არტისტერიუმი
ბალანჩივაძის ქ. 5/66
ვებგვერდი: https://artisterium.com/
ელ.ფოსტა: info@artisterium.com
ტელ: 599 63 28 00

საგამოფენო სივრცე
კუბი კონტექსტში
მზიურის პარკი
ვებგვერდი: cubeincontext.org
ელ.ფოსტა: cubeincontext@gmail.com
ტელ: 593 21 96 21

The Space That Belongs to Everyone

Exhibition and workshop series

@Artisterium 19 / 2026

September 19-30, 2026
Cube in Context
Contemporary Art Space
Mziuri Park

ARTISTERIUM is a Tbilisi annual International Contemporary Art Exhibition and Art Events. It features international exhibitions, individual art projects, and a variety of educational and cultural programs. ARTISTERIUM brings together artists, artist groups, curators, and art critics from around the globe.

About the Project

The Space That Belongs to Everyone is an initiative in contemporary art and public dialogue that explores how individuals and communities respond to personal and collective crises in an era of unpredictable change. The project examines forms of coexistence, mutual understanding, and collaboration in a world where there are no ready-made answers.

Not all seven artists participating in the project are graduates or have formal academic training in the arts. Their participation is an important part of the project's concept and is based on the understanding that the ability to engage in creative self-expression, exchange with others, and public dialogue is not determined by professional status. The Space That Belongs to Everyone considers the coexistence of different experiences, views, knowledge, and perspectives to be an essential condition for creating a shared space.

Within the framework of the project, coexistence is understood as a creative, emotional, and social capacity to maintain relationships, mutual understanding, and the possibility of self-expression in an environment shaped by diverse experiences and perspectives. In this process*, The Space That Belongs to Everyone* becomes a place for encounters, exchange, and the formation of new connections and opportunities.

The exhibition is accompanied by three workshops: *A Common History*, *Creating a Collective Zine*, and *Moths.*

Artists in the Exhibition

Gocha Zhghenti, Nino Maghlakelidze, Sopho Sharashidze, Svimoni Bolkvadze, Mariam Eliava, Ira Silantieva, Koka Vashakidze.

Workshops

A Common History
How can we understand the city not as a space belonging exclusively to humans, but as a shared environment inhabited by plants, animals, insects, birds, and other forms of life?
led by Ana Kordzaia-Samadashvili

Creating a Collective Zine
How can people with different experiences and perspectives work together, share their knowledge, and create something collectively?
led by Sophia Lapiashvili

Moths
The workshop explores how artificial light and light pollution affect the inhabitants of the city. Excessive nighttime lighting disrupts the sleep, orientation, migration, and natural rhythms of birds, insects, and other species, gradually turning the city into a more hostile environment for them.
led by Mamuka Japaridze

Curator of the exhibition: Anuka Lomidze
Project organizer: Artisterium 19 / 2026 | Magda Guruli

Artisterium 19 / 2026 is supported by the Tbilisi City Hall Cultural, Educational, Sports and Youth Affairs City Service, the Ministry of Culture of Georgia, and Creative Georgia.

The detailed program of the project will be announced at a later date.

Organizing Institution
Artisterium
Address: 5/66 Balanchivadze str, Tbilisi 0171, Georgia
Website: https://artisterium.com/
Email: info@artisterium.com
magda.guruli8@gmail.com
Phone: + 995 599 63 28 00

Venue Information
Cube in Context
Mziuri Park
Website: cubeincontext.org
Email: cubeincontext@gmail.com
Phone: 593 21 96 21